გივი
ალხაზიშვილი

წარსულის სარკმელი

“ნაკადული”, თბილისი,
1980

ყოველი წუთი წარსულს ემატება. წარსული დაუვიწყარია და მისი სარკმელი მომავლისკენ იმზირება იმედითა და მოლოდინით. მომავალი მარად დაუშრეტელია.

ცვლის თაობა თაობას, ტალღა ტალღას და გრძელდება სიცოცხლის მარადიული მდინარება წარსულიდან მომავლისაკენ, რადგან ადამიანი თანაბრად ეკუთვნის დროის უსამანო მთლიანობას — წარსულს, აწმყოს და მომავალს.

რედაქტორი ნ. გოგოძე

* * *

როგორც ზაფრანის ყვავილთა აცმა,
კედელზე მთვარის სხივი ეკიდა,
მყუდრო ოთახში ეძინა და-ძმას
და ხელი ხელზე ისე ეკიდათ,
რომ გამახსენდა სულ უნბლიეთ _
ორი ყვავილი ერთი ღეროსი,
ფრთაშეღუნღლული ორი ნიბლია,
ორი ნამცეცი საქართველოსი.

ს ტ უ დ ე ნ ტ უ რ ი დ ღ ი უ რ ი დ ა ნ

* * *

სიყვარულო _
უთვალავი წლის მზეთუნახავო,
ამ გაზაფხულსაც
შენი თმების სურნელი მოაქვს
და მარტის ცაზე
შენი თვალები

კიაფობენ ვარსკვლავებივით.

ამ გაზაფხულზეც
თექვსმეტი წლის გოგოს ჰგავხარ _
უთვალავი წლის მზეთუნახავო.

სიყვარულო,
გათბა ხნული,
გაღვივდა თესლი,
გაჟღენთილია შენი სუნთქვით
თითქოს ჰაერიც
და მინდობილი იდუმალ სხივს _
უნაპირო სივრციდან დაძრულს,
ამაოდ გეძებ,
ქრები, ოდეს გიახლოვდები.

* * *

შენ მსუბუქი ხარ _
მოყვავილე რტოზე მსუბუქი,
მოგეფერები, მწვანე სიზმრებს გაგიიისფრებ,
ნეტა ვინ ისმენს
იდუმალი ნიჟარის შრიალს,
შენი სხეულის შრიალს ვინ ისმენს?!

შენ კი არ გღვიძავს,
გეჩვენება, თითქოსდა გღვიძავს
და ძილღვიძილის უნეტარეს სიბუნდოვანეს
ადევნებიხარ,
როგორც მარტის ღრუბელს მთოვარე.

ეს დღეც გავიდა,
მწარე ფიქრი მივასამარე,
ეს დღეც გავიდა _
საოცნებო და დასანანი.
შენ სადღაც ფეთქავ,
შენით სუნთქავს ღამის ჰაერში
ახლად გაშლილი იასამანი.

* * *

“მე თუ მომწყინდა,
მეც მოვწყინდი ჩემს საუკუნეს”
და მარტოდ მავალს
მწუხარებას ვინ განუკურნებს?!

აზრიალებულ ფანჯრის მინებს
თვალი აწყდება,
ჩემი ბრალია, რაც არ ხდება
ანდა რაც ხდება.

დრო კი თავისას ერეკება,
მიდის მეოცე,
ნეტავი ვინმეს დავეწყევლე
ან დაველოცე.

გაურკვევლობის ბერუსია,
გულს რომ აყუჩებს
და ვერც კი ვამჩნევთ,
ისე გვიჭერს ყელზე მარყუჟებს.

მომწყინდა ჩემი საუკენე,
მასაც მოვწყინდი,
ცისკრის ვარსკვლავო,
დღემდი რისთვის არ ამობრწყინდი?!

შენი ნათება ზეციური
რად ჩამინაცრეს,
დღეს სულ ერთია,
იღუღუნე, გინდა იმკაცრე.

შენ შეეჩვიე,
ვერ აღიქვამ ბორკილს ბორკილად,
რა დაგემართა
აურაცხელ მტერთან მორკინალს?!

ჩვენც ვეგუებით,
შეგუება არის დილემა
და იგი ნიშნავს _
მარადიულ დამორჩილებას.

* * *

1

ჩუმად მოვიდა, მომხვია ხელი
და გამიყვანა მონუსხულ წრიდან,
აქეთ გაშლილა მზიანი ველი,
წრეში საავდრო ღრუბელი ცრიდა.

და მითხრა: _ ,,ესე ყოველი მიგცე”
და მორჩილება ითხოვა ნაცვლად.
განვშორდი ეშმას, გავხედე სივრცეს
და ისევ წრეში დავბრუნდი ტაძრად.

2

შენ ხარ “უმანკო, ვითარცა ტრედი”,
ღია სარკმელთან ტკბილად ღუღუნებ
და ჩემს სხეულში მალულად შედის
შენი ხმა, ჩქამი, რასაც ვუყურებ.

რადგან არ უწყი სიბრძნე გველისა,
შენ გიხარია, ლაღი აპრილი
ნაზამთრალ ბაღებს ოდეს შენისლავს
იასამნებით და ყარამფილით.

ზამთრის კარები რად მიიხურა
ან ვის მოუხმობს ახლა ებანი,
ვინ არის იგი, ვინც “მიიხუნა
ჩვენი ტანჯვა და სნეულებანი?!”

* * *

აქ სიჩუმეა და კლავესინი
თითქოს მაგონებს სიზმარს ბუნდოვანს,
თუმცა ამაოდ, ვერ გავიხსენე
ის, რაც არასდროს დამიბრუნდება.

მხოლოდ ვიგრძენი შესაბრალები,
თბილი სიშორე იმ სავანისა,
გულით რომ ვხედავ, არა თვალებით,

რადგან თვალები დრომ გადანისლა.

დიდი ოქტავა

1
თოვლიან მთების მდუმარებით შეშინებულნი
სახლისკენ მივალთ, სადაც ღუმელის ძველი სიმღერა
შეგვეგებება მეგობარივით
და გათოშილ ხელებს გაგვითბობს,
სადაც რადიოს დიქტორის ხმას
(დიდ ქალაქში მოსაწყენად რომ გაისმოდა)
მიაყურადებ მონატრებული:
– დღეს თბილისში უნალექოდ და ა. შ.

ვეღარას იტყვი, გადაჰკრავ არაყს
და გამთბარ მზერას ფიქრს გაუშტერებ...
ნუთუ ამისთვის გაექეცი იანვრის თბილისს,
შინ დაბრუნება რომ ბავშვივით მოგნატრებოდა?!

2
მდუმარებაში ისე უხეშად ისმის სიტყვები,
გაყინულ თოვლზე, როგორც ჩვენი ნაბიჯების ხმა.
ჩვენ ვართ ორი შავი წერტილი,
მივზოზინებთ თოვლიან ველზე და გვიყეფს ძაღლი:
– ჩემი ყეფა უფრო უხდება ამ სიჩუმეს
ვიდრე თქვენი ყალბი სიტყვები.

3
გახსოვს?! ოდესღაც ამ სოფელში
ვცხოვრობდით ორნი,
აქ ერთდებოდნენ ჩვენი სიზმრები,
ჩანჩქერებივით გადმოსჩქეფდნენ ხავსიან კლდიდან.

გემახსოვრება შესართავი უნეტარესი
და მერე მშვიდზე მშვიდი დინება.
კლდეზე ჰკიდია გაყინული ჩანჩქერები –
ვეებერთელა ბროლის ჭაღები
და ირეკლავენ იანვრის მზის უძლურ სინათლეს

გაყინულან ჩვენი სიზმრები...
ორი წერტილი მიზოზინებს თოვლიან ველზე.

4

გარეთ ღავღავებს მეცხვარის ძაღლი,
ისევ ღუღუნებს სახლში ღუმელი
და ყინულებით მორთულ სარკმელში
სიცივისაგან ათრთოლებული ვარსკვლავები იჭყიტებიან.

– შემოდით სახლში ვარსკვლავებო, ჩემთან იყავით,
გარეთ რა გინდათ,
რა გაძლებინებთ ცაში მარტოებს?!
თუ ჩემს სიმშვიდეს უთვალთვალებთ და გეცინებათ?!
მესმის თქვენი სიცილის ხმა –
უთვალავი ფლეიტის ხმას მიმსგავსებული.

მე ახლა ვწევარ თქვენი ხმებით გარემოცული
და ვიხსენებ მეგობრის სიტყვებს:
– ვჩანვართ ნეტა ვერსკვლავებიდან,
იქნებ ვინმე გვიმზერს იქიდან?!

5

შემოიარე, ნაადრევად გაშლილ იების
სურნელება შემოიყოლე,
მოჰფინე შენი თვალების შუქი
ამ ჩამქრალ ოთახს –
გემს გაჩხერილს ყინულოვან ოკეანეში.
მე მარტოდ დავრჩი,
სხვებიც წავიდნენ, თითო–თითო გამომეცალნენ,
მათ სძინავთ ახლა,
თბილ ღამეში გამოხვეულნი ხედავენ სიზმრებს,
შენც სიზმრებიდან ხომ არ მოხვედი
ჩიტის ფრთასავით მსუბუქო და
გაზაფხულის ნიავივით სურნელოვანო?!

შენ თუ გაალღობ მზერაში გაშლილ თოვლის ყვავილებს,
შენ თუ გაალღობ გაყინულ ჩანჩქერს – უმოძრაო დროს...

6

დრო...
აქ დროის მდინარებას

ტრანზისტორი გვახსენებს ზოგჯერ,
დრომ – უმოძრაო სიცარიელემ გვშთანთქა ორივე...
ვცვდებით, ვბერდებით,
წუთისოფელს არც ვაკლდებით
არც ვემატებით
და ერთმანეთს ვეფერებით
ჩვენი სიმხდალის დასათრგუნავად.

7

თვალანთებული აყურადებ
მფეთქავ მარცვლის მოუსვენრობას
და ფიქრობ შენთვის:
– ვინ იქნება ის –
დაწყვილებული ამაოების სუსტი ნაყოფი?!

8

ერთი მდინარის ორი სათავე –
მობერებულა დედა და მამა,
მე ვარ მათი შესართავი
და ჩემს სხეულში
დაწყვილებული ამაოების მორევი ბრუნავს.

მეც თავქვე მივალ,
ჩავურბინე ჩემი ბავშვობის ტყიან ნაპირებს,
მოლურჯო ჭალებს, ხორბლისფერ მინდვრებს,
სხვა მდინარეს შევუერთდი –
    თბილსა და ცისფერს
და შესართავთან უფრო ლურჯი მორევი ბრუნავს.

ერთი მდინარის ორი სათავე –
მობერებულა დედა და მამა.

პ ა ტ ა რ ა ო ქ ტ ა ვ ა

1. **შემოდგომა**

როგორც ჭურჭელი,
მოწანწკარე წყლით რომ ივსება
და საცნაური ხმა მოისმის სიმყუდროვეში,
ფერისცვალების მერე წვეთწვეთად

ივსება სული იდუმალებით...

დიდება შენდა უხილავო,
დიდება შენდა,
უნეტარესი წამებისათვის!

2. „აღმოჩენა“

„აღმოვაჩინე ამერიკა“:
ეს მე ვარ კაცი – ძე ადამისა
და ევა არის ხორცის ჩემის ნავთსაყუდელი.
სული?
        მხოლოდ ღმერთმა უწყის
ვის ებარა დაბადებამდე
ან ვის სხეულში დაივანებს
სიკვდილის მერე.

3. საწყაული აღუვსებელი

თითისწვერებზე აიწია
და მოწყვიტა ვარსკვლავი ცისა,
და როცა ნატვრა აღისრულა,
გვერდი იბრუნა და გაიფიქრა:
– ნუთუ ამისთვის ვიკლავდი თავს,
ამ სიბრიყვისთვის?!

ასეა,
ვიდრე ჩამოვარდება,
რკო ღორისთვის ვარსკვლავია მიუწვდომელი.

4. წარსული

და როცა ფიქრიც მიგვატოვებს...
როგორც ყმაწვილს ფერადოვან სიზმრების მერე,
მოულოდნელად მოაგონდება
ჯერ კიდევ თბილი სამარე მშობლის
და ატირდება,
მეც ისე ვტირი გულამომჯდარი
უეცრად რომ გამახსენდება.

5. მეცხრამეტე

ძველი პოეტების წიგნებში,
ვარდის სურნელით გაბრუებული
ბულბულები მღერიან ღამით...
ნეტა იმ დროს, – „ვაჰ, დრონი, დრონი!“...
სადღა არიან ბულბულები,
ნაზამთრალ ბაღში,
ჩვიდმეტიოდე ათეული წლის ყორანი ჩხავის,
„შავი ყორანი“, მოფრენილი მეცხრამეტედან.

6. **შეკითხვა**

ვარსკვლავს მოწყვეტილს დიდი ხნის წინათ,
ჩვენ ახლა ვუმზერთ და არ გვაფიქრებს –
წამი, რომელიც თვალებში ბრწყინავს,
თურმე დიდი ხნის წინათ ჩაგვიქრეს.
სინამდვილეზე უმაღლესო, ავდივარ ოდეს,
დღეთა კიბეზე ჩუმად ავდივარ,
ჩემი ლანდია – უკან რომ მომდევს
თუ იმ პატარა ლანდის ლანდი ვარ?

7. **გასეირნება**

შეხედა იმ ძნებს....
ძნები ზაფხულის საფლავებია,
მინდვრის ყვავილებს, მოთიბულებს
აღარასოდეს აევსებათ დილის ცვარ–ნამით –
სამარადისოდ გახელილი ჭრელი თვალები.

ფერისცვალება დაეტყო სოფელს,
ბაღებში ჩვილი შემოდგომის სუნთქვა მოისმის.

შევჩერდი მგზავრი, ბაღ–ვენახებს შევავლე თვალი
და გულში გამკრა:
– იქნებ ვუმზერ უკანასკნელად?

მ ე ო რ ე ო ქ ტ ა ვ ა

1. **ორიოდ წამით**

ოაზისივით ჩანს შენი მზერა,

უაზრო თვალთა უდაბნოებში.
დახუჭე თვალი,
ცას დაუბრუნე ორი წვეთი ცა,
დახუჭე თვალი,
დაიბრუნე ორი წვეთი ღამე ღამისგან,
ორიოდ წამით რომ დაივიწყო
ბრიყვთა აღლუმი.

ოღონდ სიბრმავეს ნუ ინატრებ,
არას გიშველის,
მაგ დავსილ თვალებს
ცრემლები მაინც გაანათებენ.

2. **საბრალო**

ნოემბრის ქარი ხმაურობს გარეთ,
ოთახში ჰყვავის ქოთნის ყვავილი,
ა, იმ ყვავილის სიმშვიდეს ჰგავს
შენი სიმშვიდე,
აღარც გაზაფხულს,
აღარც ზამთარს არ ელოდები.
აღარც მოყვასი აღარ გიყვარს,
აღარც მტერი გძულს,
ვაი, საბრალოვ, ვერც კი გაიგე
გული როდის ამოგარიდეს.

3. **ორი გზა**

მაღალ კიპარისს,
როგორ სულს ხილულს,
ცის გუმბათისკენ მშვიდად მიმავალს,
წევხარ და ისე უმზერ ქვევიდან.
რად გეჩვენება
სული შენი ეყრება სხეულს
და ერთდროულად ორი გზით მიხვალ?!

4. **მოლოდინი**

ამოვიხედე,

ფანჯარაში ჩამავალი მზე ელვარებდა,
თვალი მომჭრა და ვერ დაგინახე,
შენ აღარ ჩანდი
ჩამავალ მზის ანარეკლში განზავებული.

მე შემეშინდა,
ალვის ხესთან ჩამოვჯექი
მომლოდინე მზის ჩასვლის და შენი ამოსვლის.

5. მსგავსება

შემოდგომის ყვავილებო –
ჩვენ ერთმანეთს რაღაცით ვგავართ,
ოდნავი სითბოც საკმარისია
სიხარულისთვის.

ჩამოცვენილი ფოთლებიდან ამოიხედავთ,
თვალს შეავლებთ გაძარცვულ ბაღებს
და ყოველდღე თოვლს ელოდებით...
ეგაა, ჩვენი ყვავილობა ზამთრისპირული!

6. **დრო**

კენტი ვარსკვლავი ანთია ცაზე –
ბავშვობისდროინდელი,
მაშინდელია ის ღრუბელი,
ის კოინდარი.

სადღაც ვიყავი,
სად ვიყავი არ ვიცი თავად,
დრო კი არ გადის,
მე გავდივარ,
მე უკვე სხვა ვარ.

8. **უხილავი ცრემლი**

სხვა რაღა გითხრას
შავმა ღრუბელმა?!
წამოიტირა, გზები დანამა,
შენ რაღას იტყვი?
– ბევრს ვეღარაფერს,

მეტირება და ცრემლი არა მაქვს.

9. სიყვარულის წამი

გვალვაში ხეს რომ
წყალს დაუსხამენ
და ფოთლები აუთრთოლდება,
შენც ისე გითრთის
მთელი სხეული.

* * *

ჩამოიტანდა სხვენიდან ვაშლებს,
დაგვირიგებდა აბრია პაპა,
ვაშლის სურნელი
მე მის ნათელ სახეს მაგონებს
და სამუდამოდ დაკარგულ საფლავს.

იმ ქოხის ნაცვლად
ცივი სასახლე
და უცხო ხალხი _ უცხოს მსურველი
და ხალხში მხოლოდ ერთი ნაცნობი _
ვაშლი
ბავშვობის მძაფრი სურნელით.

რთველის მოლოდინი

რას ჩურჩულებენ მზის ჩასვლისას წინანდლის ზვრები... წლევანდელი მზე ჩაიგუბეს მწიფე მტევნებში, შექარვისფერდნენ და ახლა რთველს ელოდებიან.

ბედნიერია ალაზნის ველი, მალე ჰაერი გაიჟღინთება მაჭრის სურნელით და ორღობეში მთვრალი ნიავი ჩაიბარბაცებს.

მზეჩამდგარი გოგო მოჰყავს ჭაბუკ ლაზარეს, ისიც ვაზივით ძვირფასია და მიმზიდველი, იმასაცა აქვს ლამაზ უბეში შეთვალული წყვილი მტევანი, ისიც თავის რთველს ელოდება.

* * *

როდემდი უნდა მოიტყუო თავი საბრალომ,
სხვებს საკუთარი სიბეჩავე გადააბრალო.

ხეს სიცოცხლისას შენც მოწყდები, როგორც ფოთოლი
და შენი სული გაანათებს მთებს ჩამოთოვილს.

ჯერ კი ცახცახებ, ფოთოლცვენა ისეა ახლოა _
გრძნობ, ეს ქეყაანა დროებითი სამოსახლოა.

თეთრი

თეთრი ხალათი, თეთრი კედელი
და თეთრი თოვლი ღამით მოსული,
მარტოდენ შიში გამოკვეთილი,
სხვა ყველაფერი ნისლით მოცული.

სიუცხოვეში ჩემს სიმარტოვეს,
სხვა სიმარტოვეც სწრაფად მოება,
ის პალატაში მარტოდ დავტოვე _
ჩემი ფიქრი და ამაოება.

ასე შორიდან, უშორესიდან,
მზერით მივწვდები და ვეფერები,
ნუთუ ეს დარდიც უნდა მეზიდა
და ხელი თვალზე ანაფარები
გამეთბო ცრემლით,
                  როცა მოვარდა,
ჩამოფრიალდა ანაფორები _
ჩამოფლეთილი გუნდი ყორანთა
და შავად მორთეს სემაფორები.

მელის სასტუმროს ოთხი კედელი,
ჭრიალებს თოვლი ღამით მოსული,

მხოლოდ დარდია გამოკვეთილი,
სხვა ყველაფერი ნისლით მოცული.

შაბათს შევხვდებით ერთი საათით,
დათოვლილ ბაღში გავისეირნებთ,
ეცმევა თოვლის თეთრი ხალათი
კაცებს და ქალებს, სახლებს, ხეივნებს.

ვით სიბნელეში სინათლის წვეთი,
სულში იმედი ქრება, ენთება,
ის იწვის ჩუმად, სიბნელეს ერთვის,
ის მარად იწვის, არ იღვენთება.

მე წამიყვანე, მაღალო ღმერთო,
მე წამიყვანე, ისეც მომბეზრდა...
მე წამიყვანე, ის უნდა ენთოს,
როგორც ალუბლის ტოტი ღობესთან.

ფერფლი

(ინფორმაცია _ 1979)

მე დავიღალე და შემებრალა დაღლილი ხალხი და ჩემი თავი.
მიქრის ქვესკნელში მატარებელი და ერთმანეთის მხარდამხარ დგანან მოქალაქენი.
საით ჩქარობენ?!
ბედნიერება ესმის ყველას თავისებურად: _
სასმელი, კინო, საწოლი, წიგნი
ანდა თვლემა ტელევიზორის ცისფერ კვადრატთან...
მე დავინახე უბედნიერესი წყვილი.
ერთ-ერთმა გაზეთში გაახვია არყის ბოთლი და ისე ჩაბღუჯა, გულზე ისე მიიხუტა, როგორც დედამ დიდი ხნის უნახავი შვილი.
იგივე გაზეთი იუწყებოდა:
გარდაიცვალა ცნობილი საბავშვო პოეტი და კრემაცია შედგებოდა ძველ კრემატორიუმში _ შაბათს, საღამოს ოთხ საათზე!
ძლივს მივაღწიე სასტუმრომდე, მაგრამ სასტუმროს ვესტიბიულში შემაჩერა შვეიცარმა და მკაცრად მითხრა:
_ აქ, თამბაქოს არ ეწევიან,
თქვენ ხალიჩაზე დააფერფლეთ,
როგორც გინდათ მოხვეტეთ

ფერფლი!
“ფერფლი”...
გამახსენდა რომ ხვალ ოთხ საათზე შედგება
საბავშვო პოეტის კრემაცია.

* * *

დღეს ქარი ჩადგა, თუმცა დროებით,
დღეს ფოთოლცვენას ქარიც ისმენდა,
გორაკზე ენთო თრიმლის რტოები,
ჩამავალი მზეც გათრიმლისფერდა.

ვერხვის კენწერო, ვით ოქროს ფუნჯი,
უჩინარ ხელში ენთო ზენა ქარს,
მერე მესიზმრა, რომ თრიმლის ბუჩქი –
ჩემი გოგოა წითელპერანგა.

რამ დამასიზმრა რტონი თრიმლისა,
არ შემწევს ძალა დარდის შენახვის,
რა მონატრება იცის თბილისმა,
რაც წამოვედი უკან მეძახის!

* * *

დამეძინება, გაქრება შიში
და ღამეული ხმა არაგვისა,
მოგეფერები ძილის წინ ფიქრში,
ლამაზ ქოჩორზე ხელს გადაგისვამ.

თუმც შემოდგომა იქით მიმათრევს –
სადაც მომელის დიდი ზამთარი,
არ ვდარდობ „ორთავ თვალის სინათლევ“,
შენი ნატვრით და ლოცვით გამთბარი.

* * *

აღარ გვცალია საერთმანეთოდ,
მოუცლელობის ბორკილი გვადევს,
მეგობრის ქვრივსაც ვეღარ ვნახულობთ,
მეგობრის ობლებს, მეტადრე საფლავს
და მხოლოდ ღამით,

მარტოდენ ფიქრში
ამოუხსნელი ტკივილი გვზაფრავს.

მიედინება მდინარე მდორედ
და რაიც მიაქვს, ბრუნდება აღარ,
ბრუნავს მორევი და ხალხის მორევს
ემატება და აკლდება ტალღა.

ზოგი ამაო ფიქრით გაერთო,
ზოგმა ოქროს თევზს ესროლა ბადე,
აღარ გვცალია საერთმანეთოდ,
მოუცლელობის ბორკილი გვადევს.

* * *

საბრალო თვალი რას არ უმზერს,
უნებლიეთ რას არ იხსომებს,
საბრალო ყურებს რაღა არ ესმით,
საბრალო ხელი, ვიღას არ ვართმევთ!

თვალს ენატრება შენი თვალები,
ხელს შენი ხელი
და გარინდული შენ ხმას ვიგონებ...

დატრიალდება ხსოვნის ფირფიტა,
რომელზედაც შენი ხმაა ჩაწერილი...

მაინც მივდივარ იქით,
სადაც არ მინდა წასვლა,
რადგან ფეხები მიაბიჯებენ
მოვალეობის მკაცრი ბრძანებით,
მიაბიჯებენ და მიათრევენ საცოდავ ფიტულს,
რომელსაც ახლა ურჩევნია მინდორზე წოლა,
რადგან ბალახი
შენი თმების სურნელს გამოსცემს.

* * *

სავსეა ღამე ზღვის ჰაერით და ბზის სურნელით,
მობრძანდა ქალი საამური და სასურველი.

ჩუმად ვუთხარი: მეგობარო ნუ გეფიქრება,

რაც იყო გუშინ, მომავალში აღარ იქნება.

ჩვენია მხოლოდ დღევანდელი დღე არსებული,
ეს სიახლოვე და წამების ათასეული.

ხოლო წარსული წარსულია, იგი სხვისია
და მომავალიც უჩინარი მხოლოდ ნისლია.

დამალევინე ეს საღამო თუნდაც წვეთწვეთად,
უმსუბუქესო, უუღრმესო და ტანწერწეტავ.

როგორც ცივ ზღვაში უეცარი თბილი დინება,
შენი მკლავების სითბო ისე მომეფინება.

სავსეა ღამე ზღვის ჩურჩულით, შენი თვალებით,
ისე მიღიმი, იმედია შეგებრალები.

* * *

ვიდრე შორს იყავ,
ოცნებაში იმ ვარსკვლავს ჰგავდი,
მზეს რომ დაასწრებს გამოხედვას
იისფერ ციდან,
თურმე შენ სხვა ხარ,
იგი სხვაა, არა ჰგავს ნამდვილს,
„შენ მიწისა ხარ“,
იგი ზეცის სევდაა წმინდა.

ვიხსენებ იმ დღეს,
როცა თითქოს ერთი მეგონა:
ის – ცის ვარსკვლავი,
შენ – ყვავილი სუსტი ზაფრანის,
ნეტავი გულში არ ჩამეკონა,
ჩემი ოცნების თბილი საფლავი.

* * *

ცისკრის ვარსკვლავის იმედი მქონდა,
ისიც წამგვარეს ლურჯმა ღრუბლებმა,
ვით ბავშვობაში კვლავ მენატრება
ღრუბლის უსაზღვრო თავისუფლება.

ზამბახისფერი ფრთების შრიალით
გადაიფრინა, გადაატარა
მწვანე მინდორზე მსუბუქი ჩრდილი,
თალხის კაბაზე უფრო პატარა.

და მე იმ ჩრდილის იმედი მქონდა,
ასე მეგონა მეც წამიყვანდა,
ცაში გაფრენის იმედი მქონდა
და დედამიწა უფრო მიყვარდა.

გაოგნებული და მომლოდინე
დღიდან ღამეში ფიქრებს მივათრევ,
ჭეშმარიტება იქ, სადღაც არის,
უფრო ახლოა თურმე სიმართლე.

* * *

„მე თუ მომწყინდა,
მეც მოვწყინდი ჩემს საუკუნეს“,
აწ მარტოდმავალს
მწუხარებას ვინ გაუკურნებს?!

აზრიალებულ ფანჯრის მინებს
თვალი აწყდება,
ჩემი ბრალია, რაც არ ხდება
ანდა რაც ხდება.

დრო კი თავისას ერეკება,
მოდის მეოცე,
ნეტავი ვინმეს დავეწყევლე
ან დაველოცე.

გაურკვევლობის ბურუსია
გულს რომ აყუჩებს
და ვერც კი ვამჩნევთ,
ისე გვიჭერს ყელზე მარყუჟებს.

ლ ო დ ი ნ ი

აყვავდა ვაშლი,

დაბზუიან ფუტკრები რტოებს,
ეს გაზაფხულიც ჩუმად მოვიდა,
არ არსებობდა თითქოს წარსული –
გამოიხედე სიმარტოვიდან.

მიემატება წარსულს ეს წუთიც
და დრო თანდათან დაგცლის ბოლომდი,
ჯერ კი ვერ ხვდები და ეფერები
აუხდენელის დიად მოლოდინს.

ამ მოლოდინში გავა სიცოცხლე
და უეცარი სიბერე მოვა,
და შეცოცდება გულში ხავსივით
ცრუ მოლოდინზე ჯავრი და გლოვა.

* * *

გაივლის კიდევ „წელი ათასი,
ვითარცა ერთი დღეი“,
ვინ დამინახავს, გაშლილ მინდორზე
მე ვარ ბალახის ღერი.

ვარ გარინდული, არ ველოდები
ჯილდოებსა და ნობათს,
ჩემი სამშობლოს მიწა ვარჩიე
სადმე სათბურში ჭკნობას.

უბრალო კაცის თავისუფლება
მიჯობს მონობას დიდთა,
დღესასწაულებს ჯავრი ვარჩიე,
მიტომ ვმეგობრობ ჭირთან.

ჯერ ცოცხალი ვარ, თუმცა მრავალჯერ
თასით მასმიეს შხამი,
გაივლის კიდევ წელი ათასი,
როგორც მრავალი წამი.

* * *

ვინმე მოგაპყრობს მზერას გესლიანს
და ეკლებივით გჩხვლეტენ წუთები,
შენ უცდი ზურგში როდის გესვრიან,

მერე შეკრთები და შებრუნდები.

გაეღიმება მტრობის მოთავეს,
მოგესალმება უცებ ძმასავით,
შენკენ წამოვა და ხელს ორთავეს
ყორნის ფრთებივით აასავსავებს.

ის ცოცხალია – აი, იუდა, –
შენს სიკვდილს ნატრობს
და შენკენ მოდის,
მესაფლავეებს ზურგით მიუტანს –
ოღონდ დაგჭირდეს საფლავის ლოდი.

* * *

ჩაიფერფლები, ჩაიფერფლები,
გადაიქცევი ნაცრისფერ ბორცვად,
შენც მიიძინებ, მაგრამ ოდესმე
მოეფინები სიჩუმეს ლოცვად.

და აათრთოლებს შენი სახელი
ბაგეებს, როგორც ფოთლებს ნიავი,
აღმოცენდება თესლი კეთილი
და გაბერწდება საშო სიავის.

ჩაიფერფლები, ჩაიფერფლები
ნაწვალები და ნაფერმკრთალები,
მაგრამ ოდესმე გამოიხედავ
მილიონობით ბავშვის თვალებით

ისევ გრძელდები, შენი მდინარე
დაუსრულებლივ მიედინება,
ჩვენ ვართ ტალღები, მეორე ჩნდება,
როცა ერთ ტალღას მიეძინება.

რაღა აზრი აქვს ამაო წუხილს,
ჩვენ ვართ ტალღები, ჩვენ ვართ ღრუბლები,
შენ რომ გაგრძელდე, დასაბამიდან
ჩვენ ვიბადებით და ვიღუპებით.

* * *

სად გავურბივარ ნეტა ბედ–იღბალს,
ჩემს არსებობას ვეღარ შევნიღბავ.

ზევით ზეცაა, მიწა ფეხთაქვეშ
და ისევ ორნი, ისევ მე და შენ,
შენ – უხილავი, მიუწვდომელი,
მე კი ნამცეცი ჩამქრალ ცთომილის.

მე უნდა ვზიდო ცოდვა მავანის,
რადგან ვარ მისი შთამომავალი.

და გავურბივარ მაინც ბედ–იღბალს,
ისევ ჩამესმის, ისევ შენი ხმა.

ვერ შევეგუე ღალატს, ძმათა კვლას,
არაფრად ვაგდებ ტკივილს, გადაღლას.

გავრბივარ მთისკენ, ტყისკენ, ზღვისაკენ,
თვალი ხალისით ამოვისარკე.

დამარცხებული უკან ვბრუნდები,
მოგონებათა მდევენ გუნდები
და უამური მდევენ დღეები,
რომელთა უძლევ ჯარებს შევები.

თუკი იშლება წუთი – ყვავილი,
როგორც სათბურში გამოყვანილი –
უსურნელოა, თუმცა მარადის
მემახსოვრება კუბოს კარამდი.

* * *

საწყალი ბებიაჩემი...
ზაფხულობით, ჩასვლისთანავე
ახალ ხალათს შემიკერავდა,
ახალ სანდლებს მიყიდიდა,
ხელს ჩამკიდებდა
და რა ამაყად მიჰყვებოდა
თელავის ქუჩებს.

საწყალი ბებიაჩემი...
როგორც ქარში წაქცეულ ხეს
ფესვები უჩანს,
ვის შეუძლია წამოაყენოს,
დაუმალოს ფესვები მიწით?!

ფოთლები მაინც შერჩენოდა,
შიშველ ტოტებს დაითბუნებდა,
ჩვენ კი მისი ჭრელი ფოთლები –
ქალაქის ფართო, მტვრიან ქუჩებში
                    დავფარფატებთ
შემოდგომის ქარს მინდობილნი.

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

რიყეში ნაპოვნ კაჟს ვაკვესებდით – თელავში –
ღამით... ის ნაპერწკლები თვალებში ახლაც გაიელვებენ,
როგორც ბავშვობის მანათობელი ნამცეცები,
ის ხმა ახლაც ყურში ჩამესმის და კაჟის სუნიც
მახსენდება და საწყალი ბებიას ხმობაც: სადა ხარ, შვილო?!

დღეს ამ ძახილზე გამომეღვიძა, სველი თვალები
სავსე მქონდა ნაპერწკლებით და კაჟის სუნი იდგა ოთახში.

„ღ ო რ ო, მ ო მ ე ჯ ა გ ა რ ი“

იცი რა მითხრა იმ არამზადამ,
თოკი რომ ვთხოვე,
თუნდაც თოკის მცირე ნარჩენი:
– სახრჩობელისთვის ყულფებს ვამზადებ,
სადა მაქვს თოკი ჭიანჭველას გადასარჩენი?!

მ ა მ ი ს ო ც ნ ე ბ ა

შორიდან, ძლიერ შორიდან,
ალბათ შორეთზე შორიდან,
მიწიდან, ციდან, ღრუბლიდან,
მზიდან, მთვარიდან მოვიდა.

ქვეყნიერების ნამცეცი
მზეს პაწია ხელს გადახვევს,
ღმერთო, რა სწრაფად იზრდება,
ვერ ეგუება არტახებს.

მოტყუვდა ვისაც ეგონა –
მოვიდოდაო ვეღარა,
ნათლი, ამირან დამირქვი,
გააგებინე ქვეყანას.

იქნებ ამირანს ედაროს,
იმის ფესვებზე იხაროს
და სევდიანი კრწანისის
ჯავრი მან ამოიყაროს!

* * *

ფოთოლი წყდება,
წუთი წყდება
და წვეთი წყდება
და მიდის ხალხი –
ერთი წყება,
მეორე წყება.

ზოგს ქარი აქრობს,
ზოგიერთი თავისთვის ქრება
და ოხრად რჩება,
ოქრო–ვერცხლი, ქებათაქება.

ზოგი ანთია ჩაქრობის მერე,
თუმც სიცოცხლეში იყო უჩინო,
ღმერთო, ასეთი, ასეთი ხალხი
სამშობლოს უნდა გადაურჩინო.

* * *

ბზა, ბალახი და ცაცხვი,
ხავსი, დაფნა და სურო,
მარცხი – მარჯვნივ და მარცხნივ,
როგორღა უძლებ სულო.
სურო, დაფნა და ხავსი,

ცაცხვი, ბალახი, ბზები,
ისევ წარსულის ნავსი,
ისევ წარსულში გხვდები.
ამოივლიდი კიბეს,
ვით სამრეკლოსკენ მნათე
და რაც ვარსკვლავი კრიფე
და რაც სანთელი ანთე,
თურმე მზერაში გენთო,
გვინაწილებდი თანაც,
შენ გაანათლე ღმერთო,
დიდედაჩემი ანა!

ახლაც იქიდან მიმზერს
და არ ასვენებს ვხედავ,
ომში დაკარგულ შვილზე
თანწაყოლილი სევდა.
ვნახავ პატარა საფლავს,
– მოხვედი? – ჩუმად მკითხავს –
იქვე დარგული დაფნა
და აზელილი თიხა.

მიწისძვრა

შუაღამისას მეცხრე სართული
შექანდა, როგორც ალვის კენწერო,
შვილებისაკენ გამექცა თვალი –
გწყალობდეთ ღმერთი, ჯვარი გეწეროთ!

მოაწყდა ქარი ჩარაზულ ფანჯრებს
და აზრიალდნენ სველი მინები,
ვზივარ შემკრთალი და დაბნეული,
შიშის მორევში მივედინები.

გავიდა წუთი, საათი, ღამე –
აღარ მოისმის ქარის სუნსული,
ო, რა უმწეო ვიყავი წუხელ,
რა საცოდავი და უსუსური.

* * *

მე მიმატოვეს უსიერ ტყეში
და იმ დაკარგულ გზას დავეძებ,
რომლის დაკარგვა ოდესღაც მსურდა.

თითქოს უხილავ კლავიშებზე
მივდივარ ფრთხილად
და ყოველ ნაბიჯს
ეშინია საკუთარ ბგერის.

* * *

მოლდაველ პოეტს გრიგორე ვიერუს

სიმყუდროვეში მიმალული ღუღუნებს მტრედი –
გახარებული მზიან ამინდით,
თვალი დაღლილა ამაო ჭვრეტით,
კენწეროებით, ჯვრებით, კრამიტით.

სიმყუდროვეში მიმალული მტრედი ღუღუნებს,
ათასწლეულთა მდუმარებას გულდასმით ბურღავს
და შუქს უმატებს წვეთწვეთობით ტაძრის უკუნეთს
და მიტოვებულ სასაფლაოს სიჩუმეს ურღვევს.

ფოთოლცვენაა, შემოდგომის სხივი უძლური
მტრედს უკავია ნისკარტით და ისევ ღუღუნებს,
ბედნიერია, რადგან ჰპოვა მცირე კუნძული,
შუა ქალაქში სხვა სიჩუმე და საუკუნე.

ქუჩაში სიკვდილი

ქუჩაში ჩაიკეცა დედაბერი... გაფარფატდა შავი
თავსაბურველი, ჩრდილივით გაცურდა ტროტუარზე.
დედაბერს მკვდრის მზე ეფინა სახეზე, გამხმარ ხელებზე
ბებრული ვენები დამჭკნარი იებივით მოჩანდა.
გაცრეცილ ჩანთიდან ტროტუარზე წამოყრილი
ფორთოხალი, ვაშლი, სათვალე – საბედისწერო
ნატურმორტს ჰგავდა.
ვიდრე სასწრაფოს დაურეკავდნენ, ვიდრე ექიმი მოვიდოდა,
ხალხმა იხილა, დედაბრის თვალებში როგორ გაიშალა პირველი წამი
უსასრულო თავისუფლების.

* * *

– რამდენი თვალი შეისრუტა ცამ, რამდენი
ჩააღამა?! სავსეა ჩამქრალ თვალებით სივრცე,
გარდასულთა სუნთქვით ჰაერი.

– რამდენი ფიქრი შეიფარა ცამ, რამდენი,
რამდენი?!
– ცაში მუდამ მოიძებნება ფიქრისა და მზერისთვის
სივრცე, შენ მიწა მითხარ მშობლიური,
გეგულება მტკაველი მიწის სისხლში და ძვალში
შეურეველი?!

წ ა რ ს უ ლ ი ს ს ა რ კ მ ე ლ ი

ჩემში შემოდიან უცნობები,
მეცნობიან:
– ზოგი ვარდებს ტოვებს,
ზოგს ვარდები მიაქვს
და ეკლებს ტოვებს...

„უფალო შეიბრალე“...

ჩემგან მიდიან ნაცნობები,
ხელს ჩაიქნევენ და მიდიან,
ზოგი დარდებს ტოვებს,
ზოგი კეთილ სიტყვას,
ხელს ჩაიქნევენ და მიდიან.

ზოგს წლები მიაქვს,
ზოგს სიხარული,
ზოგი იმედს ტოვებს,
ზოგიერთი სიცარიელეს.

ის კი შემოვიდა ჩუმად, ფეხაკრეფით,
ფლეიტის ხმა ჰქონდა
და შორეული ვარსკვლავებივით
იდუმალი თვალები.
მან მითხრა:

X–მა თავი მიტომ მოიკლა,
რომ ჩიტიც კი არ დარჩა მასთან,
რომ არავის არ ეცალა მისი დარდისთვის,
ყველა თავის საქმით იყო დაკავებული –
წიგნით, ხელფასით, მაღაზიით,
ანდა თავის სადარდებელით.

„ყველა თავის სიმარტოვეს გაურბის სადღაც,
ყველას თავის დარდი აწუხებს“.
ფუტკარი ნექტარს აგროვებს,
გველი შხამს,
მავანი ოქროს, მავანი წიგნებს,
ზოგიერთი საფოსტო მარკებს,
შენ კი ფიქრებს აგროვებ.

მიყვარს სხვისი ფიქრების კითხვა...

ზოგჯერ თვალი გამექცევა
უცხო ფანჯრისკენ,
ასე მგონია იმ ფანჯარაში მეტი შუქია
და მეტი სითბო ვიდრე ჩემსაში.
. . .
– როცა ბაღიდან ხეც წავა,
ჩუმად გაიპარება,
როცა სახლიც მიგატოვებს, მიიმალება,
შენ ვერ მიხვდები, რომ შენ მიდიხარ
და ტოვებ ყველას,
თითქოს ქალაქი მიდის შენგან
და შენ უძრავად დგახარ.

გახსოვს ის ლექსი?!
ის ხეც წავიდა,
წავიდა ჩუმად თვალს მოეფარა,
რა დამახსომდა ჩავლილ წამიდან,
რა გაქრა, ან რა გამომეპარა.

ისევ მიდიან, რჩება წამიდან
მხოლოდ შეკითხვა, ვინ და რა მიდის?!
იქ, სახლი იდგა, ისიც წავიდა,
ხავსმოდებული გაქრა კრამიტი.

უკან აბრუნებს ხსოვნა მარტოდენ
წაშლილ სახეებს, კლდოვან პროფილებს,
მე ვიცი ვიღაც კიდევ დამტოვებს
და მწუხარებას არ მამყოფინებს.

მე შევეჩვიე, შენ შეეჩვიე,
ის შეეჩვია ასეთ უღლებას,
მოელის წამი კითხვას ეჭვიანს,
შემდეგ რომელი ჩაიმუხლება?!
. . .
გინახია ბაზრის შესასვლელთან აზელილი
თოვლი?
ვერც კი გაარჩევ ნაკვალევს,
კვალი კვალს შლის...
ასევეა შენი გულიც,
დაუკითხავად შემოდიან და გადიან,
ყველა თავის საქმისთვის მოდის,
საკუთარ დარდის დასაყუჩებლად,
საკუთარი სიმარტოვის ამოსავსებად.

გახსოვს? ბაზრიდან დატვირთული
შინ რომ მოხვედი,
შეაღე კარი გაბადრულმა
და გმირივით მიმოიხედე,
რა გიხარდა?
რომ სამი დღის საზრუნავი ჩამოიხსენი,
რომ შეგეძლო აღარ გეფიქრა
სამზარეულოს პრობლემებზე და...
მე შევეჩვიე, შენ შეეჩვიე,
ის შეეჩვია, ჩვენ შევეჩვიეთ...

ისე მცირედი გვახარებს ზოგჯერ,
ამაღლებულზე დაფიქრებაც გადაგვავიწყდა,
ჩვენი ნატვრაც
წინანდელზე გაცილებით პრაქტიკულია,
სრულებით არ ჰგავს იმ ბავშვის ნატვრას –
ღამით ფრთები რომ ესიზრება,
მეორე დღეს კი
თანაკლასელზე შეყვარებული – გაკვეთილზეა
თან ცაში დაფრენს,
ხოლო უგუნური მასწავლებელი

ბეჭდიან თითს ჩასცხებს თავში
და განაგრძობს განრისხებული:
– „ამ ლექსით პოეტი უმღერის
განახლებულ ქვეყანას!“.

ასე ანარცხებენ ნატვრას მიწაზე,
ის კი სიზმარში ტოვებს ქალაქს
შერცხვენილი და დამცირებული
და ეუფლება ბუნდოვანი გრძნობა –
რომელსაც სახელს მერე დაარქმევს –
„ს ა მ ა გ ი ე რ ო“.
. . .
ჩვენ ერთმანეთის ფიქრებში დავაბიჯებთ,
ერთმანეთი გვიყვარს, გვძულს, გვებრალება,
ერთმანეთს ვეფერებით, ვკლავთ და ა. შ.

თითო ცოდვა ყველას ამძიმებს,
ყველა თავის ლოდს მიათრევს
თავის აღმართზე.

იგი შემოვიდა ჩემში ფეხაკრეფით,
გაშლილი თმები
ფშატის ყვავილის სურნელებით ავსებდა ოთახს
და ბაგეების ვარდისფერი ნიჟარიდან
ფლეიტის ხმა მოისმოდა
გამჭვირვალე და ზეციური.

. . .
გაყოფილია ჩვენი არსებობა
ცხოვრებად და სიცოცხლედ,
დღედ და ღამედ,
ცხადად და სიზმრად
და მივაბიჯებთ
ძილ–ღვიძილის იისფერ ზღვართან,
დღისით იმავე ადგილზე ვდგავართ,
როცა სიზმარში გადვივლით ცხრა მთას
და თუ სიზმარში მოვადენთ ზღართანს,
გაგვეღვიძება და გვიხარია,
რომ სიზმარში მივიცვალეთ
და არა ცხადში.
. . .

გაღებულია წარსულის სარკმელი
და როცა გიმზერ, გიმზერ იქიდან,
ყველგან შიშის ეკალია ამოსული,
საითაც უნდა გაიხედო
სულერთია დაიკაწრები.

გადიან წლები, რა გვიან მიხვდი,
რომ ტყუილს ზრდიდი, როგორც მონას,
რომელიც თვითონ გააბატონე.

* * *

შორია გზა და ძნელია ხვედრი
მოგზაურისა,
გამოვიარე ტყეები თეთრი,
ძლივს მოგაკვლიე,
გზებით დაქანცულს
შენ წყურვილი მომაკვლევინე,
გამოვაღწიე მღვრიე ღამიდან,
ასე მეგონა – ხეტიალში
უთვალავი წელი გავიდა.
გამოველ გარეთ,
ჩამოვჯექი მდუმარე სახლთან,
მეცნო მინდვრები, ვენახები,
შრიალი ბაღთა,
მერეღა მივხვდი,
გარს ვუვლიდი იმავე საყდარს,
საიდანაც გაქცევა მსურდა.